როგორ შევალ ღვთის სასუფეველში?

ვერნერ გითი

როგორ შევალ ღვთის სასუფეველში?

კითხვა მარადიულობის შესახებ მრავალ ადამიანს აფიქრებს. ეს კითხვა აქვთ ადამიანებს, რომლებიც სიცოცხლის აღსასრულზე ფიქრობენ. ამერიკელი მსახიობი დრიუ ბერიმური ფანტასტიკურ ფილმში: "ე. ტ. – უცხოპლანეტელი" როგორც ბავშვი ვარსკვლავი მთავარ როლს თამაშობდა. როცა ოცდარვა წლის იყო (დაიბადა 1975 წელს) მან თქვა: "თუ ჩემს კატაზე ადრე მომიწევს სიკვდილი, მაშინ მისთვის ჩემი ფერფლის მიცემა შეუძლიათ, რადგან ასე ჩემს კატაში გავაგრძელებ სიცოცხლეს". სიკვდილთან მიმართებაში ამგვარი ვიწრო ხედვა განა შემაძრწუნებელი არ არის?

მაცხოვართან მრავალი ადამიანი მიდიოდა. მათ თითქმის ყოველთვის მიწიური სათხოვარი ჰქონდათ:

- ათ კეთროვანს განკურნება სურდა (ლუკ. 17:13)
- ბრმებს თვალის ახელა სურდათ (მათ. 9:27)
- ვიღაცას ქონების გაყოფა სურდა (ლუკ. 12:13-14)
- ფარისევლებს მისთვის გამოსაჭერი კითხვის დასმა სურდათ, უნდა ეძლიათ თუ არა ხარკი კეისრისთვის (მათ. 22:17)

მხოლოდ მცირერიცხოვანი ადამიანები იყვნენ მოწადინებულნი მაცხოვრისგან ცათა სასუფევლის შესახებ მოესმინათ. ერთი ახალგაზრდა მდიდარი ჭაბუკი ეძებდა მას, რათა ეკითხა: "კეთილო მოძღვარო, რა ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?" (ლუკ. 18:18). მას ეთქვა თუ რა უნდა გაეკეთებინა, კერძოდ კი ყველაფერი გაეყიდა, რაზეც მისი გული იყო მიჯაჭვული და იესოს გაჰყოლოდა. რადგან ის მდიდარი იყო, ეს რჩევა არ გაიზიარა და უარი თქვა ცათა სასუფეველზე. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ცათა სასუფეველს საერთოდ არ ეძიებდნენ, მაგრამ იესოსთან შეხვედრის შემდეგ შეიტყვეს მის შესახებ და მყისვე მიიღეს. ზაქეს სურდა იესოს ნახვა, მაგრამ მან გაცილებით მეტი მიიღო, ვიდრე ელოდებოდა. მაცხოვრის ზაქეს სახლში სტუმრობისას, თანამედროვე ენაზე, რომ ვთქვათ – ყავის სმისას – ზაქემ ცათა სასუფეველი ჰპოვა. იესომ ასე გამოხატა ეს: "დღეს მოხდა ამ სახლის ხსნა" (ლუკ. 19:9).

როგორ იმკვიდრებენ ცათა სასუფეველს?

ზემოთ ნათქვამის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ:

- ცათა სასუფეველში ერთ კონკრეტულ დღეს შედიან. ამის ცოდნა შენთვისაც საშურია ძვირფასო მკითხველო, რადგან შენც შეგიძლია დღესვე შეხვიდე ცათა სასუფეველში.
- ცათა სასუფეველში მოხვედრა დამსახურებებზე არ არის დამოკიდებული.
- ცათა სასუფეველი შეიძლება მოუმზადებელმა დაიმკვიდრო.

სასუფეველში შესვლის ჩვენეული კონცეფციები მცდარია, თუკი ღვთის სიტყვას არ ეფუძნება. შლაგერის ერთ-ერთი შემსრულებელი კლოუნზე მღეროდა, რომელმაც ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ ცირკს თავი დაანება: "ის აუცილებლად ზეცაში მოხვდება,რადგან ადამიანებს ამხიარულებდა". ერთმა მდიდარმა ქალთა მონასტრის დამაარსებელმა ღარიბთა თავშესაფრის აშენება გადაწყვიტა, სადაც 20 ქალბატონს უფასოდ ცხოვრება შეეძლოთ. მათ მხოლოდ ერთი რამ ევალებოდათ: ყოველ დღე ერთი საათის განმავლობაში წინამძღოლის სულის ხსნისთვის უნდა ელოცათ.

რა შეგვიყვანს ცათა სასუფეველში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად იესოს ერთი იგავი მოჰყავს. ლუკას სახარების მე-14 თავის მე-16 მუხლში ის ერთი კაცის (რომელიც ღვთის სახეა) შესახებ ლაპარაკობს, რომელმაც ნადიმი (იგულისხმება ცათა სასუფეველი) გამართა და კონკრეტული მოსაწვევები დააგზავნა.

მოპატიჟების სანაცვლოდ აღმაშფოთებელი პასუხები მიიღო. სტუმრები ერთმანეთის მიყოლებით იწყებენ ბოდიშის მოხდას. პირველი ამბობს: "ყანა ვიყიდე...", მეორე: "ხუთი უღელი ხარი ვიყიდე...", მესამე: "ცოლი შევირთე და ამის გამო არ შემიძლია მოსვლაო". იესო იგავს მოწვეული სტუმრების მსჯავრით ასრულებს: „ვერავინ იმ წვეულთაგან ვერ იგემებს ჩემს პურობას!" (ლუკ. 14:24).

ეს იმას ნიშნავს, რომ სასუფეველი შეიძლება შეიძინო და შეიძლება დაკარგო. ამოსავალი წერტილია

მოწვევის მიღება ან უარყოფა. ეს ასე ადვილია? არც ისე! მრავალი ადამიანი იმის გამო კი არ იქნება სასუფეველის გარეთ, რომ გზა არ იცოდნენ, არამედ იმის გამო, რომ მოწვევა არ მიიღეს.

იგავში მოყვანილი სამი ადამიანი ჩვენთვის ნიმუშს არ წარმოადგენენ, რადგან მათ მიწვევა არ მიიღეს და ნადიმზე არ მივიდნენ. ნადიმი მაინც შედგა? რა თქმა უნდა! მოწვეულთა უარის შემდეგ მასპინძელმა ყველგან დააგზავნა მოსაწვევები, მაგრამ არა ოქროს ასოებით დაბეჭდილი. მოწვევა უბრალო მოწოდებით ხდება: "მოდი"! ყველასათვის, ვინც მოწვევას ღებულობს ადგილი გამზადებულია. რა ხდება შემდეგ? ხალხი ნაკადად მოედინება. რამოდენიმე ხნის შემდეგ მასპინძელი აცხადებს: კიდევ დარჩა ადგილი! ის მსახურს ეუბნება: "გადი გზებზე და ორღობეებში, დაიყოლიე ისინი, რომ მოვიდნენ!"

იგავი მინდა ჩვენთან დავაკავშირო, რადგან ჩვენს დღევანდელ სიტუაციას მიესადაგება. კიდევ არის თავისუფალი ადგილები ზეცაში და ღმერთი მოგვმართავს: "მოდი, დაიკავე შენთვის განკუთვნილი ადგილი ზეცაში! იყავ გონიერი და "დაჯავშნე" ადგილი მარადიულობაში! გააკეთე ეს დღესვე!"

სასუფეველი წარმოუდგენლად ლამაზია და ამიტომ უფალი იესო მას დიდ ნადიმს ადარებს. კორინთელთა პირველ წერილში (2:9) წერია: "რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს". არაფერი ამ სამყაროში მიახლოებითაც კი არ არის მისი მსგავსი. წარმოუდგენლად ლამაზია იქ! სასუფეველზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა თქვას ადამიანმა უარი, რადგან ის ძვირფასია. მხოლოდ ერთმა – იესო ქრისტემ,



ღვთის ძემ – გაგვიღო სასუფევლის კარი! მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ შესაძლებელია მისი დამკვიდრება. მთავარი მხოლოდ ჩვენი სურვილია. მხოლოდ ისეთი მოკლე ხედვის მქონე ადამიანები, როგორებიც იგავში გვხვდება, არ იღებენ მოწვევას.

ხსნა უფალ იესო ქრისტეს მეშვეობით ხდება

მოციქულთა საქმეში (2:21) ძალიან მნიშვნელოვანი რამ წერია: "ყოველი, ვინც მოუხმობს უფლის (იესო ქრისტე) სახელს, გადარჩება". ეს ახალი აღთქმის მთავარი აზრია. როდესაც მოციქული პავლე ფილიპეს საპატიმროში იმყოფებოდა,ზედამხედველთან საუბრისას თქვა: „იწამე უფალი იესო ქრისტე და გადარჩებით შენც და მთელი შენი სახლეულიც" (საქ. 16:31). ეს უწყება მოკლე და სხარტია, მაგრამ იმავდროულად გამჭოლი და ცხოვრების შემცვლელი. იმ ღამესვე მოექცა საპატიმროს ზედამხედველი.

არის ერთი რამ, რაც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ: იესოს სურს ჩვენი იმ გზიდან მოქცევა, რაც დაღუპვით მთავრდება. სასუფეველსა და ჯოჯოხეთზე ბიბლია ამბობს, რომ ორივეგან ადამიანები სამუდამოდ იცხოვრებენ. პირველი საუცხოოა, მეორე კი საშინელი. მესამე სამყოფელი არ არსებობს. გარდაცვალებიდან ხუთი წუთის მერე ვედარავინ იტყვის, რომ სიკვდილით მთავრდება ყველაფერი. ხსნა მაცხოვრის სახელს უკავშირდება. ჩვენი მარადიული სიცოცხლე მხოლოდ ერთ პიროვნებაზე – იესო ქრისტეზე და მასთან ურთიერთობაზეა დამოკიდებული.

როდესაც პოლონეთში ლექციების წასაკითხად ვიმყოფებოდი, აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკი მოვინახულეთ. ეს საკონცენტრაციო ბანაკი სამხრეთ პოლონეთში ნაცისტებმა მოაწყვეს. აუშვიცში იმ ადამიანებს კლავდნენ, რომლებიც ნაცისტებისგან იდევნებოდნენ. იქ საშინელება ხდებოდა. 1942 წლიდან 1944 წლამდე 1,6 მილიონი ადამიანი, უფრო მეტად კი ებრაელები იქნენ გაზით გაგუდული და შემდეგ დამწვარი. ეს ამბავი ლიტერატურაში „აუშვიცის ჯოჯოხეთის" სახელითაა ცნობილი. მე ამ ტერმინზე ვფიქრობდი, როდესაც ერთ-ერთმა თანამშრომელმა გაზის კამერა დაგვათვალიერებინა, სადაც ერთდროულად 600 ადამიანს ასალმებდნენ სიცოცხლეს. ეს წარმოუდგენელი საშინელებაა.

ჩვენ ამ გაზის კამერის დათვალიერება იმიტომ შევძელით, რომ 1945 წლის იანვრიდან იმ ადგილზე ნაცრისფერი კვამლის ამოსვლა შეწყდა. ახლა ნებისმიერ დამთვალიერებელს შეუძლია იქ შესვლა, რადგან ადარავის აწამებენ და წამლავენ. აუშვიცის გაზის კამერა რაღაც დროით იყო შემოსაზღვრული. ბიბლია კი მარადიულ სატანჯველზე ლაპარაკობს.

მუზეუმის შესასვლელთან ერთ სურათს მოვკარ თვალი, რომელზეც ჯვარზე გაკრული მაცხოვრის სხეულია გამოსახული. ერთ ტყვეს უცდია მისი კედელზე მიმაგრება. ეს ხელოვანი ტყვეც გაზის კამერაში გარდაცვლილა. ის იცნობდა მხსნელ იესოს და მიუხედავად იმისა,რომ საშინელ ადგილას გარდაიცვალა, მისთვის სასუფეველი ღია იყო. იმ ჯოჯოხეთიდან კი, რაზეც იესო ახალ აღთქმაში ლაპარაკობს (მათ. 7:13; 5:29-30; 18:8), თავს ვერასოდეს დააღწევს ადამიანი, თუკი იქ მოხვდება. რადგან აუშვიცისგან განსხვავებით ჯოჯოხეთი მარადიულია, იქ ვერასოდეს შევა ვინმე დასათვალიერებლად.

სასუფეველიც მარადიულია. ეს ის ადგილია, სადაც ღმერთს სურს მიგვიყვანოს. მიიღეთ მოწვევა სასუფეველში შესასვლელად. მოუხმეთ უფლის სახელს და „დაჯავშნეთ“ ადგილი ზეცაში. ერთ-ერთი მოხსენების შემდეგ ერთმა ქალმა აღელვებულმა მკითხა: „განა შესაძლებელია სასუფევლის დაჯავშნა? ტურისტული სააგენტო ხომ არ არის?“ მე დავეთანხმე: „ვინც არ ჯავშნის, მიზანს ვერ აღწევს. თუ თქვენ ჰავაიში გსურთ გამგზავრება, შესაბამისი თვითმფრინავის ბილეთი გესაჭიროებათ“. ქალბატონმა ისევ მკითხა: „თვითმფრინავის ბილეთისთვის ხომ თანხა უნდა გადაიხადო?“. „კი, სასუფევლისთვისაც გადასახდელია, მაგრამ იმდენად ძვირია, რომ ვერცერთი ჩვენგანი ვერ შეძლებს მის გადახდას. ამისათვის ცოდვა გვაბრკოლებს. ღმერთი სასუფეველში ცოდვას ვერ დაითმენს. ვისაც სურს სიკვდილის შემდეგ მარადიულობა ღვთის სასუფეველში გაატაროს, ჯერ ცოდვისგან უნდა გათავისუფლდეს. გათავისუფლება კი მხოლოდ ერთ უცოდველ პიროვნებას – იესო ქრისტეს შეუძლია. მხოლოდ მას შეუძლია ჩვენი საფასურის გადახდა! მან თავისი სისხლით გამოგვისყიდა გოლგოთის ჯვარზე!“ რა უნდა გავაკეთო, რომ ცათა სასუფეველი დავიმკვიდრო? ღმერთი ჩვენც გვიწვევს გადასარჩენად. ბიბლიის მრავალი ადგილი დაჟინებით მოგვიწოდებს ღვთის მოწოდებას გამოვეხმაუროთ:

- “იღვაწეთ,რათა შეხვიდეთ ვიწრო კარიდან” (ლუკ. 13:24)
- „მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია ცათა სასუფეველი“ (მათ. 4:17)
- “შედით ვიწრო კარიბჭით, ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა,რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავს, და მრავალნი დადიან მასზე. ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისაკენ მიჰყავს და მცირედნი ჰპოვებენ მას” (მათ. 7:13-14)
- “ჩაეჭიდე საუკუნო სიციცხლეს, რომლისთვისაც მოწოდებული ხარ” (1 ტიმ. 6:12)
- “იწამე უფალი იესო და გადარჩებით” (საქ. 16:31)

ეს ყოველივე ძალიან ამაღელვებელი და დაჟინებული მოწვევაა. იგრძნობა ამ აზრების სერიოზულობა, დამაჯერებლობა და აუცილებლობა. ყოველივეს მაშინ ექნება შედეგი,თუ მოწვევას ლოცვით გამოვეპასუხებით, რომელიც შეიძლება ასე ჟღერდეს:

„უფალო იესო, აქამდე ისე ვიცხოვრე, თითქოს შენ არ არსებობდი. ახლა შევიცანი თუ ვინ ხარ და პირველად მოგმართავ ლოცვით. ახლა ვიცი, რომ სასუფეველი და ჯოჯოხეთი არსებობს. მიხსენი ჯოჯოხეთისგან, რომლისკენაც ჩემი ცოდვების და უპირველესად ურწმუნოების გამო მივექანებოდი. მსურს მარადიულობაში შენთან ერთად ვიყო. მიეხვდი, რომ სასუფეველში ჩემი დამსახურებების გამო კი არა, შენი რწმენის გამო შევალ. რადგან შენ გიყვარვარ, ჩემს გამო გაეკარი ჯვარზე, ჩემი ცოდვები იტვირთე და ჩემი გამოსასყიდი გადაიხადე. ამისათვის მადლს გწირავ. ბავშვობიდან მოყოლებული, ჩემს ყველა ცოდვას ჰხედავ შენ. ჩემს ცხოვრებაში არსებული თითოეული ცოდვა შენთვის ცნობილია, ისინიც, რაც მე მახსოვს და ისინიც, რაც დიდი ხანია დავიწყებული მაქვს. შენ ყველაფერი იცი ჩემს შესახებ, რადგან ზუსტად მიცნობ. ჩემი გულის ყოველგვარი მდგომარეობა შენთვის ნაცნობია, სიხარული იქნება ეს თუ მწუხარება,წარმატება თუ სასოწარკვეთილება. შენს წინაშე ვარ ვითარცა გადაშლილი წიგნი. ისეთი, როგორიც ვარ და როგორც აქამდე მიცხოვრია, ვერ წარვდგები ღმერთის წინაშე და ვერც სასუფეველს დავიმკვიდრებ. ამიტომ მომიტევე ყველა ჩემი ცოდვა,

რომელთაც მთელი გულით განვიცდი. ახლა მე გიღებ როგორც ჩემს უფალს. შენ იყავ ჩემი ცხოვრების უფალი. ისე მსურს ვიცხოვრო ისე, როგორც ეს შენი ნებაა.

გთხოვ შემეწიო ყოველივე იმის მიტოვებაში რაც შენთვის არ არის სათნო და შენგან კურთხეული ახალი ჩვევები მიბოძო. ამიხილე თვალი შენი სიტყვის, ბიბლიისათვის. შემეწიე იმის გაგებაში თუ რისი თქმა გსურს შენი სიტყვით, რომ შენს სიტყვაში ძალა და სიხარული ვპოვო. შენ იყავ ჩემი უფალი, რომელსაც მსურს ვეკუთვნოდე და მივყვებოდე. მიჩვენე გზა, რომელზეც უნდა ვიარო. მადლს გწირავ, რომ ისმენ ჩემს ლოცვას. მე მწამს შენი აღთქმისა, რომ მოქცევით ღვთის შვილი გავხდი და შენთან ვიქნები სასუფეველში მარადის. მიხარია, რომ ამიერიდან ყოველგვარ სიტუაციაში ჩემს გვერდით იქნები. დამეხმარე ადამიანების მოძიებაში, რომლებიც ასევე მოქცეულნი არიან და წმ. წერილზე დაფუძნებული ეკლესიის პოვნაში, სადაც რეგულარულად მოვისმენ შენს სიტყვას. ამინ!“

ავტორი: დირექტორი და პროფესორ-ემერიტუსი, დრ. ინჟ. ვერნერ გითი

ორიგინალის სათაური: „Wie komme ich in den Himmel?“
ავტორის ვებ-გვერდი: www.wernergitt.de
მთარგმნელი: ილია ოსეფაშვილი
ფრონტისპისი: ელისე ქრისტიანი

Missionswerk DIE BRUDERHAND e.V.
Am Hofe 2; 29342 Wienhausen, Germany
Tel.: +49 (0) 51 49/ 98 91-0 Fax:-19; Homepage: bruderhand.de
E-Mail: bruderhand@bruderhand.de
© 2010: Missionswerk DIE BRUDERHAND e.V.

Nr. 858
Georgisch / Georgian
1st edition 2010